




# საშურის მოახება



№27 (2778)

19 ოქტომბერი, ორშაბათი, 2020 წელი


## - კორონავირუსი -

### საშურის მუნიციპალიტეტი 6

### დადასტურებული შემთხვევა გვაქვს, აქედან ორი გამოჯანმრთელდა

კორონავირუსი კვლავ ნომერ პირველი გამოწვევაა მთელი მსოფლიოსთვის. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებით, ამ ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა ბოლო სტადიაზეა და წლის ბოლოს, ან 2021 წლის დასაწყისში ვაქცინა მზად იქნება. დღეს კი მთელს პლანეტაზე ვირუსის მზარდი ტენდენციაა და სამწუხაროდ, გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო დღეებში, დაავადებულთა რიცხვი სამნიშნა ციფრებით აისახება, თუმცა სპეციალისტები ჯერ-ჯერობით პანიკის საფუძველს ვერ ხედავენ და პანდემიის მართვა კონტროლს ექვემდებარება, რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტში? ამ კითხვაზე მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **დავით ჩიქოვანი** პასუხობს: – დღეისათვის საშურში ექვსი დადასტურებული შემთხვევა გვაქვს. აქედან ორი გამოჯანმრთელდა. დარჩენილი ოთხის კონკრეტული მისამართი კი ასეთია: ერთი - ოსიაური, ერთი - საშური, ორი - სურამი. სამწუხაროდ, ამ ოთხიდან ორი მედიცინის მუშაკია. პარალელურად, თვითიზოლაციაზე გადაყვანილი გვყავს 50 კაცი, რომელთა კონტროლი მუდმივად ხორციელდება. მონიტორინგს, ჩვენთან ერთად, პოლიციაც ატარებს. ჯერ-ჯერობით, რა

თქმა უნდა, საპანიკოდ არ გვაქვს საქმე, მაგრამ კიდევ ერთხელ მოგუწოდებ ყველას – გავუფრთხილდეთ საკუთარ თავსაც და გარშემომყოფთაც – მუდმივად ვატაროთ პირბადე, არ დავივი-



წყობ პირადი ჰიგიენა და დავიცვათ სოციალური დისტანცია. თუ ყველა რეგულაციას პირნათლად შევასრულებთ, ვირუსი აუცილებლად დაიხვევს უკან და ქვეყანა და შესაბამისად, ჩვენი მუნიციპალიტეტიც ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება, – განაცხადა ბატონმა დავითმა.

## საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მისია საშურში წყლისა და წყალარინების კუთხით არსებულ ვითარებას გაეცნო



წყალმომარაგების კომპანიის პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ანა ონაშვილმა საფრანგეთის განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს ქალაქ საშურში წყლისა და წყალარინების სფეროში არსებული ვითარება გააცნო. კომპანია საშურში, AFD-ის დაფინანსებით, წყლისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციასა და წყალარინების გამწვანების ნაგებობის მშენებლობას 2021 წელს დაიწყებს. პროექტის ღირებულება 66 მილიონ ევროზე მეტს შეადგენს.

ქალაქ საშურში წყალმომარაგების ქსელი მხოლოდ ნაწილობრივ არის განვითარებული. მოსახლეობის დაახლოებით 50% მოძველებული ინფრასტრუქტურის გამო, წყალს დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში დებულობს, გარკვეული ნაწილი კი ინდივიდუალური ჭებით სარგებლობს. თუმცა ჭის წყალს მხოლოდ ტექნიკური დანიშნულება აქვს და სასმელად არ გამოიყენება. საშურში ფარგლებში დაგეგმილია როგორც ახალი, ასევე არსებული სათავე ნაგებობების, რეზერვუარებისა და სატუმბო სადგურების რეაბილიტაცია-მშენებლობა. სრულად შეიცვლება წყალარინების მოძველებული სისტემა.

აშენდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალარინების გამწვანების ნაგებობა, რომელიც ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ჩამდინარე წყლების წმენდას სრული ბიოლოგიური ციკლის დაცვით განახორციელებს, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას. პროექტის დასრულება 2024 წელს არის დაგეგმილი, რის შემდეგაც, საშურისა და მიმდებარე სოფლების (ზემო ოსიაური, ქვემო ოსიაური, ცხრამუხა) მოსახლეობა, ჯამში 33 200 -მდე ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული ინფრასტრუქტურით იქნებიან უზრუნველყოფილი.

## 12 ოქტომბერს, საშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესი განახლდა

ახალ სააღმზრდელო წელს, რომელიც COVID-19-ის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, ახალი, მკაცრი რეგულაციებით დაიწყო, მუნიციპალიტეტის ყველა - 18-ვე სააღმზრდელო დაწესებულება მომზადებული შეხვდა.

ყველა საბავშვო ბაღმა წინასწარ გაიარა დეტალური შემოწმება და ისინი სრულ შესაბამისობაშია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ სტანდარტებთან. სკოლამდელი დაწესებულებები სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, რაც ბავშვებისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას უზრუნველყოფს.

შეცვლილია ბაღში აღსაზრდელის მიღების წესიც, რაც რეგულაციების მკაცრი დაცვით ხორციელდება. ცვლილებებია მეთოდოლოგიურ ნაწილშიც.

იმედია, მომავალშიც ასე გაგრძელდება და ჩვენს პატარებს სრულიად უსაფრთხო, ჯანმრთელ გარემოში მოუწვეთ ყოფნა.



### 31 ოქტომბრის არჩევნები (დარბისპირი) პოლიტიკური პარტიები

- „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ - №2;
- ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა - №3;
- „დავით ჭიჭინაძე ტრიბუნა - ქდმ“ - №4;
- საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ - №5;
- „მომავალი საქართველო“- №6;
- „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ - №7;



- „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - №8;
- „გაჩეჩილაძე - მწვანეთა პარტია“- №9;
- „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - №10;
- „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ - №11;
- „მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ №12;
- „რეფორმერი“ - №13;
- „ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“ - №14;
- „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ - №16;
- „ირაკლი ოქრუაშვილი-გამარჯვებული საქართველო“ - №17;
- „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - №18;

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ - №19;
- „საქართველო“ - №20;
- „თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“ - №21;
- „ახალი ძალა“ - №23;
- „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ - №24;
- „თავისუფალი დემოკრატები“ - №25;
- ეკა ბესელია - პ.პ. „სამართლიანობისთვის“ - №26;
- საარჩევნო ბლოკი „გიორგი ვაშაძე-სტრატეგია აღმაშენებელი“ - №27;
- „ქართული ფესვები“ - №28;
- „შეცვალე საქართველო“ - №30;
- თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა - №31;
- „სახალხო პარტია“ - №32;
- „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)“ - №33;
- „სოციალური სამართლიანობისათვის“ - №34;
- „გირჩი“ - №36;
- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - №41;
- რეფორმატორები - №42;
- „ზვიადის გზა“ (დემოკრატების, სიმართლისა და ქვეყნისათვის) - №43;
- „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“ - №44;
- „ეროვნულ დემოკრატიული მოძრაობა“ - №45;
- „გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის“ - №46;
- „ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია“ - №47;
- „არჩევანი სამშობლოსათვის“ - №48;
- „ჯონდო ბადათურია - ქართული დასი“ - №49;
- „პროგრესული საქართველო“ - №50;
- „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ - №51;
- „სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი“ - №52;
- „ტრადიციონალისტები“ - №53;
- „ანა რეხვიაშვილი - სახალხო მოძრაობა ქრისტიან-დემოკრატები“ - №54;
- „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ - №55;
- „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ - №56;
- მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ - №57
- „საქართველოს განვითარების პარტია“ - №60.

### # 16 მაჟორიტარული ოლქის (ხაშური - ქარელი) მაჟორიტარობის კანდიდატები

- ალექსი ჩხიკვაძე (ნინო ბურჯანაძე-ერთიანი საქართველო დემოკრატიული მოძრაობა) №3;
- ელიზო პატურაშვილი (დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი-საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) №8;
- ნიკა მოსიაშვილი (გირჩი) №36;
- ზაალ დუგლაძე (ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო) №41;
- თამაზ ჩადუნელი (თამაზ მეჭიაური-ერთიანი საქართველოსთვის) №7;
- რატი სულაძე (საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა) №51;
- ნატო ჩხეიძე (საარჩევნო ბლოკი : ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია “ძალა ერთობაშია”) №5;
- ირინა ცაავა (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება-პარტია “საქართველო”) №20;
- კახა კოჟორიძე (ლელო-მამუკა ხაზარაძე) №56;
- ლევან ქველაძე (ქართული იდეა) №44;
- პაატა შუბითიძე (თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა) №31;
- ზვიად გელაშვილი (ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა) №55;



- მერაბ ზურაბაშვილი (შეცვალე საქართველო) №30;
- გურამ ჩალაგაშვილი (ირაკლი ოქრუაშვილი-გამარჯვებული საქართველო) №17;
- ბესიკ ბუთურიშვილი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, “ჩვენი საქართველოს სოლიდარობის ალიანსი”) №19;
- ხათუნა გელაშვილი (თავისუფალი საქართველოს-კახა კუკავა, გიორგი წულაია) №21;
- დიმიტრი ღონდაძე (ეროვნული დემოკრატიული მოძრაობა) №45.

# ჩემი ლელი- მიგრანტი აფხაზეთიდან

მსოფლიოში მიგრაციული პროცესების მიზეზები ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს. სხვადასხვა ხასიათის კონფლიქტი, ომი, ადამიანებს ლტოლვილებად აქცევს და კონფლიქტური ზონებიდან მეზობელ, ან უფრო შორეულ ქვეყნებში გადასახლებისკენ უბიძგებს. მიგრაციის მიზეზი სხვადასხვა ხასიათისაა: პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და ა.შ ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მანძილზე, ქვეყანაში მიგრაცია ძირითადად გამოწვეული იყო შეიარაღებული, სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით, კონფლიქტებით და ეკოლოგიური პრობლემებით. შესაბამისად, შიდა მიგრანტები, ძირითადად, ის ადამიანები არიან, ვინც ეკოლოგიური საფრთხის გამო მიატოვეს საცხოვრებელი ადგილი, ან სამხედრო კონფლიქტების გამო, იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ოკუპირებული ტერიტორიები.

ადგილის და მდგომარეობის შეცვლა, განსაკუთრებით, იძულებით, მთელ რიგ სირთულეებს უკავშირდება, ამ დროს ფსიქო- ემოციური ბალანსის შენარჩუნება ძნელია, ამას ემატება გარემო ფაქტორები. მაგრამ არსებობენ ადამიანები, ვინც მიუხედავად წინააღმდეგობებისა, წარმატებას აღწევს და იმედს არ კარგავენ.

ლელი აფხაზეთის ომის მიგრანტია. მის ოჯახს ხელახლა მოუწია ყველაფრის შენება და ახალი ცხოვრების შექმნა. გადატანილ სირთულეებზე



ბევრი საუბარი, მაინც დამინც, არ უყვარს. ცდილობს, სხვებს არ გადასცეს თავისი ნეგატიური ემოციები.

სამაგიეროდ, მე ვიცი ლელის ამბავი.... 6 წლის იყო სოხუმიდან ხაშურში, ბებია-ბაბუის სახლში რომ „დააბრუნეს“ ...

ლელი:- „საკუთარ ცხოვრებას ორ ნაწილად დავყოფდი, აფხაზეთის ომამდე და ომის შემდეგ. ომამდე ყველაფერი ფერად ზღაპარს ჰგავდა. ზღვისპირეთში გატარებული მზიანი, თბილი დღეები, მომღიმარი ადამიანების სახეები და კეთილი გარემო ომმა რადიკალურად შეცვალა. ხალხი დაუნდობელი და სასტიკი გახდა, ფერები და მზეც აღარ ჩანდა, გარშემო საშინელი ხმაური, შიში ტრიალებდა, მე გავრბოდი...“

ლელი კი გამოიქცა, მაგრამ მამა აფხაზეთის ომში დატოვა, ამიტომ სულ გზას



გაჰყურებდა იმ იმედით, რომ ერთხელაც მომავალს დაინახავდა...

ლელი, რაღაცნაირად, განსხვავებული იყო და სხვა სამყაროში ცხოვრობდა, იმ სამყაროში, რომელიც ჩვენთვის „ჩვეულებრივი ბ ა ვ მ ვ ე ბ ი ს თ ვ ი ს “ გაუგებარი იყო. ცდილობდა, უფროსების საუბრისთვის მოესმინა, რათა კონფლიქტის არსში გარკვეულიყო და „ღვინილობის“ მიზეზი დაედგინა... ტიროდა, თუ სოხუმში მიტოვებული დატუნია ახსენდებოდა და მასთან ჩახუტება ენატრებოდა. ლელი პატარა იყო, ჩვენ- ცოტათი უფროსები, ამიტომ თუ რომელიმე სატელევიზიო არხზე მულტფილმებს აჩვენებდნენ, ტელევიზორს უპირობოდ ვუთმობდით. ვცდილობდით, ხშირად გაგვემართა საოჯახო



კონცერტები და ლელი მთავარ როლში გვყოლოდა, ყველაზე გემრიელი შოკოლადებიც ყოველთვის ლელისი იყო, ბევრს ვეფერებოდით, მაგრამ ლელის სახეზე მაინც ეტყობოდა ის თრთოლვა, სევდაგამოვლილ ადამიანებს რომ ახასიათებთ.

გავიდა დრო, ლელის მამაც დაბრუნდა, ადამიანებმა მოახერხეს ახალ გარემოსთან ადაპტირება და ცხოვრება გაგრძელდა, იმ იმედით, რომ ოდესღაც ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდებოდა... თუმცა, ლელის დატუნია მაინც არ ბრუნდებოდა...

ლელი: - „საბოლოო ჯამში, შემოქმედებითმა იმპულსებმა გადამარჩინა. ვცდილობდი, შავ-თეთრი სამყარო გამეფერადებინა და ისე დავლოდებოდი სოხუმში დაბრუნებას. დავიწყე ხატვა, ძერწვა, დეკორატიულ დეტალებზე მუშაობა, ფერი ჩემთვის ყოველთვის იყო რელაქსაციის და სტრესიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალება. ბავშვობიდან ფერში აღვიქვამდი ადამიანების აურას, განწყობას, რიცხვებს, დღეებს.“

თავად ლელისაც ჰქონდა საკუთარი ფერი და ეს იყო - ფორთოხლისფერი... გავიდა წლები... ლელი ახლა ცნობილი არქიტექტორ-დიზაინერი, არტთერაპევტი და არაერთი პროექტის ავტორია. მისი ნამუშევრები მრავალფეროვანია: ბინებისა და ოფისების დიზაინი, სხვადასხვა კლინიკის და სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა, დააპროექტა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიათეკა-ბიბლიოთეკა, მონაწილეობდა ძველი თბილისის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო და საინვესტიციო პროექტებში...

ლელი:- „ბავშვობიდან მიყვარდა არაფრისგან რაღაცის შექმნა, 90 -იანი წლები იყო და არ გვქონდა ბევრი რამის ფუფუნება, ამიტომ რაღაცების ჩემი ხელით კეთება დავიწყე. ბევრს ვწერდი, ვხატავდი, ძალიან დამაინტერესა მაკეტების შექმნამ. არქიტექტორად და დიზაინერად რომ ჩამოვყალიბებულიყავი, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მომიხდა, იმ პერიოდში სრული უმოქმედობა სუფევდა, ამიტომ დიდი ძალისხმევა დამჭირდა. მომწონს ქალი ერთდროულად ძლიერიც რომ არის და ქალურიც. ხალხს არქიტექტორი ძირითადად, მამაკაცად წარმოუდგენია, მე კი ხშირად მივსულვარ ობიექტზე ფერად კაბებში გამოწყობილი და ამით საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები დამიმსხვრევია.“

წერა არც ახლა მიუტოვებია, ვიცი, რომ ერთ დღეს საკუთარ ჩანაწერებს გამოაქვეყნებს, სადაც ერთ-ერთი პერსონაჟი მე ვიქნები... ლელი:- „მგონია, რომ მთავარია, ადამიანებს გვქონდეს გულში სითბო, გონებაში სინათლე და სულში სიმსუბუქე, როცა ეს სამივე გაერთიანებულია, მაშინ ადამიანი ნამდვილად ბედნიერია. ჩემი დევიზია – სადაც არ უნდა ვიყო და რასაც უნდა ვაკეთებდე, ერთი მარცვალთ მეტი სიკეთე მოვუტანო საკუთარ თავს და სხვა ადამიანებს. ჩემთვის ყველაზე მთავარი ორი რამეა: საპირისპირო მხარეებს შორის ბალანსის შენარჩუნება და კარგისა და დადებითისკენ განვითარება, წინსვლა, დინამიკა.“



ლელის სჯერა უზუნაესი კეთილი ძალის არსებობის, ოცნების. იცის, თუ დადებით ტალღაზე მომართავს საკუთარ ფიქრებს, ბევრ რამეს უკეთესობისკენ შეცვლის და თავის დატუნისაგ აუცილებლად დაიბრუნებს... თათია ძინძიბაძე

ლელის სჯერა უზუნაესი კეთილი ძალის არსებობის, ოცნების. იცის, თუ დადებით ტალღაზე მომართავს საკუთარ ფიქრებს, ბევრ რამეს უკეთესობისკენ შეცვლის და თავის დატუნისაგ აუცილებლად დაიბრუნებს...

თათია ძინძიბაძე

**(გაგრძელება. დასაწყისი №. „ხმ“ №21,22,23,24,25,26)**

ქალაქის ტიპის დასახლება ხაშურში ყალიბდება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. რასაც ხელი შეუწყო 60-70-იანი წლების საგლეხო და ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა. ამ პერიოდში, საქართველოში სწრაფად დაიწყო ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარება, რამაც განაპირობა ხაშურში მრეწველობის, ხელოსნობის, ვაჭრობის სწრაფად განვითარება. ხაშურის დაწინაურებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობამ.

მიუხედავად იმისა, რომ სურამი, ამ პერიოდში, კვლავ მხარის ერთ-ერთი ცენტრია, იგი თანდათან თმობს პოზიციებს ხაშურის სასარგებლოდ, რომელიც უკვე 900-იანი წლებისათვის მხარის ცენტრს წარმოადგენს როგორც ეკონომიკური, ასევე კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით.

ამ გარემოებამ განაპირობა ხაშურში მოსახლეობის ზრდა-განვითარებაც. თუ 1865 წლისათვის აქ ცხოვრობდა 45 კომლი გლეხი, რომელშიც სახელმწიფო იყო -26, საეკლესიო - 2, ხოლო დროებით ვალდებული 17 გლეხი, 102, უკვე ოცი წლის შემდეგ, 1886 წელს, ხაშურში ცხოვრობს 442 კომლი, სულ - 1127 კაცი. თუ 1865 წლისათვის ხაშურის მოსახლეობა ძირითადად ერთფეროვანია და მხოლოდ ქართველობით არის წარმოდგენილი, მოგვიანებით რკინიგზის გაყვანას სხვადასხვა ეროვნებათა დასახლებაც მოჰყვა. კერძოდ, ამ დროიდან ხაშურში უმეტესად სახლდებიან რუსები /ხაშურის ტოპონიმიში დასტურდება „რუსის უბანი“, სომხები. შედარებით მცირერიცხოვანია პოლონელების, გერმანელების, ბერძნებისა და სხვათა რიცხვი. იმავე 1886 წლის მონაცემებით, აქ უკვე სახლობს 39 კომლი რუსი /59 კაცი და 49 ქალი, სულ 108 კაცი/, 31 კომლი სომეხი /55 კაცი და 30 ქალი, სულ 85 კაცი/, 4 კომლი პოლონელი /შესაბამისად 12 კაცი და 8 ქალი, სულ 20/, 4 კომლი გერმანელი /6 კაცი/, 1 კომლი ბერძენი და 1 კომლი ებრაელი.

ძირითადად მოსახლეობას კვლავ ქართველობა შეადგენს. იგი წარმოდგენილია 372 კომლით. ქართველი მოსახლეობის ზრდა ხდებოდა ახლომასლო სოფლების, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოსული მოსახლეობის ხარჯზე. კერძოდ, ხაშურში მკვიდრებიან იმერეთიდან, სამეგრელოდან, გურიიდან, რაჭიდან და სხვა რეგიონებიდან გადმოსული ქართული მოსახლეობა. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმავე 1886 წლის აღწერის ზოგიერთი მონაცემის გაცნობა. ხაშურის მოსახლეობის უმრავლესობა, სარწმუნოების თვალსაზრისით, მართლმადიდებელია /1000 კაცი/, სომხურ გრიგორიანული სარწმუნოებისა - 85, კათოლიკური - 20, ლუთერანი - 6, იუდეველი - 5, მალაკნელი - 3.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით ხაშურის მოსახლეობის შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: თავადაზნაურობას მიეკუთვნება 9 კაცი, აზნაურია - 54, მართლმადიდებელი სასულიერო წოდების - 7, სომხურ- გრიგორიანული სასულიერო წოდების - 4, საპატიო მოქალაქეა - 41, მეშხანი - 125. მოსახლეობის უმრავლესობა გლეხობაა - 353 კომლი, სულ 886 კაცი.

ხაშურის ზრდა-განვითარებაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დიდი როლი ითამაშა საქართველოში რკინიგზის გაყვანამ. ერთ-ერთ მთავარ სარკინიგზო ხაზს წარმოადგენდა თბილისი-ფოთის რკინიგზა, რომელიც ხაშურზე გადიოდა. მისი მშენებლობა დაიწყო 1865 წლის 1 მაისიდან, 1872 წლის ოქტომბერს კი ფოთიდან თბილისში ჩავიდა პირველი მატარებელი.

1872 წლის 11 ოქტომბერს გახდა „კავკასის“ ნომერში გამოქვეყნდა რკინიგზის სამმართველოს ცნობა, რომ „სახელმწიფო კომისიამ, რომელმაც გასინჯა რკინიგზა, აღმოჩნდა, რომ სურამის უღელტეხილზე მატარებლებმა შეიძლება, იმოდრონ მხოლოდ დღისით, სამეგობრიანი შემადგენლობით თვითეულმა, ხოლო სინქარე არ უნდა აღემატებოდეს საათში 12 ვერსს“.

ამ დღიდან ხაშურში დაიწყო რკინიგზის მთელი რიგი დაწესებულებებისა და საწარმოების გახსნა და ფუნქციონირება, რამაც გარკვეულწილად დიდი გავლენა მოახდინა მისი იერსახის ცვლილებაზეც. ერთ დროს ზემო ქართლის უმნიშვნელო პატარა სოფელი თანდათან იქცა მუშათა დაბის სახეს, მრავლდებოდა საზოგადოებრივი დაწესებულებების შენობა-ნაგებობები, მის შემოგარენში გაჩნდა კერძო თუ საერთო საცხოვრებელი სახლები...

უკვე მის სახელწოდებაზეც დაიწყო ფიქრი და მალევე გამოჩნდა გამოსავალი. 1872 წელს დიდი მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის კავკასიაში მოღვაწეობის 10 წლისათვის აღსანიშნავად, ხაშურს გადაარქვეს სახელი და მიხაილოვო დაარქვეს.

1872 წლის შემდეგ მთელ რიგ ოფიციალურ და არაოფიციალურ დოკუმენტებში, ზოგ შემთხვევაში ქართულ პერიოდულ პრესაშიც კი, სადგური მიხაილოვო დომინირებს, თუმცა ხშირად მის გვერდით დაბის ან სოფლის სახელი ხანდახან თუ გაახსენდებოდათ

**ხაშურის „ლილი“ ქარხნები**  
1876 წლის აგვისტოში ხაშურში ააშენეს რკინიგზის ახალი სადგური. ამავე წელს აქ გაიხსნა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, რომლებიც ერთ-ერთი დიდი საწარმოები იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაშიც. პირველ ხანებში სახელოსნოებში 400-ზე მეტი კაცი მუშაობდა, ხოლო უკვე 1880 წლისათვის აქ დასაქმებული იყო 1000-ზე მეტი მუშა. ამ დროისათვის სახელოსნოებში მოქმედ ძრავთა სიმძლავრე უდრიდა 210 ცხენის ძალას, ხოლო გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 1 მილიონ მანეთს.

1876 წლის 25 აგვისტოს „გაზეთი „დროების“ ფურცლებზე გაჩნდა პატარა ცნობა, რომელიც იუწყებოდა, რომ „გუშინწინ შუადღეზე, 23 აგვისტოს, ხაშურში გაჩენილა ცეცხლი და როგორც გვატყობინებენ, რაც რკინის გზის სტანციის მახლობლად დუქნები იყო, სულ გადაიწვია“.

გაზეთის 29 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა დაწვრილებითი ინფორმაცია ხაშურში მომხდარი ხანძრის შესახებ. როგორც ინფორმაციაშია ნათქვამი, 22 აგვისტოს, ხაშურში ზეიმობდნენ რკინიგზის ახალი სადგურისა და „სახელოსნო სახლების აშენებას“. „ამ დღესვე ხაშურში მოეცა ხელთ-უქმნელი ხატი“. ზეიმზე დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. აქ ქუთაისიდან სპეციალურად მოეწვიათ „პოლიკის მუზიკა“. აქვე იყვნენ თბილისი-ფოთის რკინიგზის „თითქმის ყველა მოსამსახურენი“, რომელთაც დიდი ნაღიმი გაემართათ. მთელ ხაშურს საზეიმო ელფერი დასდებოდა, მაგრამ მეორე დღეს „ეს ახლად აყვავებული მხიარული ხაშური ნაცრად აქცია მოულოდნელმა ცეცხლმა“.

23 აგვისტოს ხანძარი ერთი გლეხის საბძლიდან დაიწყო. ქარმა, რომელიც თურმე იმ დღეებში ყოველდღე ქროდა, გააძლიერა ცეცხლი და ერთი საათის განმავლობაში რაც ხაშურში სასტუმროები, დუქნები და ღვინის მარნები იყო, სულ დაიწვა. აგრეთვე გლეხების სახლები და საბძლები ერთიანად განადგურდა. ერთი სიტყვით, - აღნიშნავს გაზეთი „დროება“, - აღმოსავლეთიდან დაწვებული ნემეცური სასტუმროდამ ფონტის სტანციამდინ სულ დაიწვა“.

აღვიწიების მოსახლეობა ბევრს ეცადა ხანძრის ჩაქრობას, მაგრამ ამოდ. „ორი წელის მაშინა გამოიტანეს. ვერც ამით უშველეს რა“. ვაჭრებმა დუქნებიდან მოასწრეს საქონლის გამოტანა, მაგრამ გამოტანილი საქონელი გაიტაცა-გამოიტაცეს არეულობაში. განსაკუთრებით დიდი ზარალი გლეხებმა განიცადეს, „მრავალი იმათგანი უღუკმაპუროდ დარჩა, რადგან სულყველაფერი გადაეწვათ, რაც კი გააჩნდათ სახლკარი და ჭირნახული“ - წერდა სურამელი კორესპონდენტი ს. ასლანოვი გაზეთის ფურცლებზე.

ამავე საკითხს გაზეთი „დროება“ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა და შემდეგ წერდა: „ხაშურიდამ გეწერენ, რომ ამას წინათ იქ გაჩენილ ცეცხლს განსაკუთრებით ბევრი ზიანი გლეხებისთვის მიუცია: ზოგიერთებს სულ სახლ-კარი და მთელი წლის პური და სიმინდი საბძლებიანად და კალოებზედ დასწვია. ასე, რომ ესენი ამ წელს სახლ-კარსა და საზრდოს მოკლებულნი არიანო. „გლეხებისა და იმათი ცოლ-შვილის ნახვა და იმათი ტირილ-ჟივილის გაგონება კაცს გულს მოუკლავსო“, გეწერს ჩვენი იქაური კორესპონდენტი, „აი ვის ეჭირება შეწვენა და დახმარებო...“

იგივე კორესპონდენტი ატყობინებდა გაზეთს, რომ სურამში რამდენიმე პირმა გადაწყვიტა ხაშურის გადაწვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა. ქართულად „ქმარი ხუთი ცოლისას“ დადგამს აპირებენ და ერთს რუსულ პიესასაც წარმოადგენენო.

1876 წლის 1 სექტემბრის გაზეთ „დროების“ ფურცლებზეც, მართლაც, გაჩნდა ცნობა ხაშურში წარმოდგენის გამართვის შესახებ. „ხაშურიდამ გეწერენ, რომ 29 აგვისტოს აქ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა /ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისას“/ ხაშურის გადაწვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ. წარმოდგენილად სულ 116 მანეთი შემოსულა, მაგრამ აქედან 70 მანეთამდინ წარმოდგენის გამართვისათვის დახარჯულა. ასე რომ სხენებულ გაჭირვებულების სასარგებლოდ ხუთ თუმანამდინ შეუგროვებიათ“.

ეს არის პირველი ცნობა ხაშურში თეატრალური წარმოდგენის გამართვის შესახებ.

ასეთივე დახმარება გაეწიათ დახარალებულებს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთაგან. იგივე გაზეთი ამის შესახებ შემდეგ აღნიშნავდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ფოთი-თბილისის რკინის გზის მოსამსახურე პირები დიდ შემწეობას აძლევენ გადაწვარ ხაშურის მცხოვრებლებსო. იმათ ერთმანეთში ხელის-მოწერა გაუმართავთ და კარგა ძალი ფული მოუგროვებიათ“.

როგორც ჩანს, ასეთი და სხვა ხასიათის დახმარებების შედეგად მდგომარეობა ხაშურში მალე გამოსწორდა და ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით წავიდა. ამ პერიოდის ხაშურის ისტორიის მთავარი მოვლენა მაინც რკინიგზის მთავარი სახელოსნოების გახსნა იყო. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ხაშურის დაწინაურებასა და ზრდას, შემდგომში კი მის გადაქცევას ქალაქად.

რკინიგზის სახელოსნოების თავდაპირველად ხაშურში გახსნა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სურამის (ლიხის) ქედის მონაკვეთი სირთულით გამოირჩეოდა, რაც ბევრი პრობლემის წინაშე აყენებდა რკინიგზის ხელმძღვანელობას. ხშირად მწყობრიდან გამოდიოდა ორთქმავლები, ვაგონები, რომლებიც გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებდნენ. ამიტომ აუცილებლობა იყო სწორედ აქ ასეთი რთული უბნის სიახლოვეს გახსნილიყო სახელოსნოები.

ხაშურის მთავარ სახელოსნოებში წარმოებდა რკინისგზის მოძრავი შემადგენლობის ყველა სახის სარემონტო სამუშაოები. აქ დასაქმებული იყო სხვადასხვა პროფესიის მრავალი ხელოსანი, რომელთა ოსტატობაზე ბევრად იყო დამოკიდებული რკინიგზის უსაფრთხო მუშაობა მძიმე იყო რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების ცხოვრება. ამ გარემოებაზე არაერთხელ მიუთითებდა იმდროინდელი ქართული პრესა. გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე აღნიშნულის შესახებ წერდა: „ჩვენ მოგვივიდა ხაშურიდამ წიგნი, რომლის ავტორი იქაურ ცხოვრების სიმძვირეზე იწერება. აქაურს რკინიგზის სახელოსნოში თითქმის ოთხასამდის მუშა არისო. ზოგიერთ იმათგანს დღეში 2-2,50 და 3 მანეთი ჯამაგირი ეძლევათ, მაგრამ ამათი ცხოვრება და გაჭირვება რომ ნახოთ, შეგებრალებათო. მთელი ქისა მიციტანთან და მედუქნესთან გადადისო, რომელიც ყველაფერს საძაგელსა და ძვირად ჰყიდის იმათზეო. განსაკუთრებით შესაბრაღისნი არიან მცირეწლოვანი ახალგაზრდა მუშები, რომელთაც ადამიანის პირისახეზედ არა აქვთო და სხვა...“

კორესპონდენციის ავტორი, როგორც ვხედავთ, საინტერესო ცნობას გვაწვდის ახალგაზრდა მუშების შესახებ, რომლებიც თურმე სახელოსნოებში მრავლად ყოფილან დასაქმებული და რომელთაც ქანცვაწვეტილი მუშაობით ადამიანის სახეც აღარ შერჩენოდათ.

მუშები ყოველგვარ შევიწროვებას განიცდიდნენ სახელოსნოების ხელმძღვანელობის მხრიდან. მცირე ხელფასი, აბუნად ადგება, ცხოვრების მძიმე პირობები, - აი, რა იყო მათი ხვედრი. მაგრამ ისინი არ ურიგდებოდნენ ცხოვრების ამ მძიმე ხვედრს და ხშირად სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, რაზეც მრავალი ფაქტობრივი მასალა მეტყველებს.

1880 წლის იანვარში, სახელოსნოების ადმინისტრაციამ მუშებს გამოუცხადა, რომ შეამცირებდა ხელფასს. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სახელოსნოს მუშებში. მათ რამდენიმე დღიანი გაფიცვა გამოაცხადეს და სამუშაოზე აღარავინ გადიოდა. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, სახელოსნოების ადმინისტრაციამ სთხოვა მუშებს სამუშაოზე გასვლა და ხელფასების შენარჩუნებასაც შეპირდა. მაგრამ მუშები კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვას, მანამ ვიდრე სახელოსნოების მესვეურები იძულებულნი არ გახდნენ და „...ჟანდარმების პირით არ გამოუცხადეს, რომ ჯამაგირი ისევ წინანდელი ექნებათ ყველასო...“

გაფიცული მიხაილოველი მუშები სამუშაოზე გავიდნენ, ხოლო მათი გარკვეული ნაწილი საერთოდ აღარ მისულა სახელოსნოებში სამუშაოდ და მიხაილოვოდანაც წასულა.

70-80-იანი წლების მიჯნაზე სახელოსნოების უფროსი იყო ვასილიევი, რომელიც ძალზე ცუდად ეკიდებოდა მუშებს. „ამისათვის, - წერდა გაზეთი „დროება“, - ყველა ემდურება მას, და რომელიც კარგი ხელოსანი იყო გავიდნენ ქარხნიდან დიდი ხანია, რადგან ამის /ვ.ი. ვასილიევის- თ.დ./ მუდმივ და განუწყვეტელ ლანძღვას და გინებას ვერ გაუძლეს“.

**ხ ა შ უ რ ი ს  
ი ს ტ ო რ ი ი ს ა თ ვ ი ს  
( 1 6 9 3 - 2 0 2 0 6 6 )**

აღვიწიების მოსახლეობა ბევრს ეცადა ხანძრის ჩაქრობას, მაგრამ ამოდ. „ორი წელის მაშინა გამოიტანეს. ვერც ამით უშველეს რა“. ვაჭრებმა დუქნებიდან მოასწრეს საქონლის გამოტანა, მაგრამ გამოტანილი საქონელი გაიტაცა-გამოიტაცეს არეულობაში. განსაკუთრებით დიდი ზარალი გლეხებმა განიცადეს, „მრავალი იმათგანი უღუკმაპუროდ დარჩა, რადგან სულყველაფერი გადაეწვათ, რაც კი გააჩნდათ სახლკარი და ჭირნახული“ - წერდა სურამელი კორესპონდენტი ს. ასლანოვი გაზეთის ფურცლებზე.

ამავე საკითხს გაზეთი „დროება“ რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ მიუბრუნდა და შემდეგ წერდა: „ხაშურიდამ გეწერენ, რომ ამას წინათ იქ გაჩენილ ცეცხლს განსაკუთრებით ბევრი ზიანი გლეხებისთვის მიუცია: ზოგიერთებს სულ სახლ-კარი და მთელი წლის პური და სიმინდი საბძლებიანად და კალოებზედ დასწვია. ასე, რომ ესენი ამ წელს სახლ-კარსა და საზრდოს მოკლებულნი არიანო. „გლეხებისა და იმათი ცოლ-შვილის ნახვა და იმათი ტირილ-ჟივილის გაგონება კაცს გულს მოუკლავსო“, გეწერს ჩვენი იქაური კორესპონდენტი, „აი ვის ეჭირება შეწვენა და დახმარებო...“

იგივე კორესპონდენტი ატყობინებდა გაზეთს, რომ სურამში რამდენიმე პირმა გადაწყვიტა ხაშურის გადაწვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა. ქართულად „ქმარი ხუთი ცოლისას“ დადგამს აპირებენ და ერთს რუსულ პიესასაც წარმოადგენენო.

1876 წლის 1 სექტემბრის გაზეთ „დროების“ ფურცლებზეც, მართლაც, გაჩნდა ცნობა ხაშურში წარმოდგენის გამართვის შესახებ. „ხაშურიდამ გეწერენ, რომ 29 აგვისტოს აქ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა /ანტონოვის „ქმარი ხუთი ცოლისას“/ ხაშურის გადაწვარ მცხოვრებთა სასარგებლოდ. წარმოდგენილად სულ 116 მანეთი შემოსულა, მაგრამ აქედან 70 მანეთამდინ წარმოდგენის გამართვისათვის დახარჯულა. ასე რომ სხენებულ გაჭირვებულების სასარგებლოდ ხუთ თუმანამდინ შეუგროვებიათ“.

ეს არის პირველი ცნობა ხაშურში თეატრალური წარმოდგენის გამართვის შესახებ.

ასეთივე დახმარება გაეწიათ დახარალებულებს რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთაგან. იგივე გაზეთი ამის შესახებ შემდეგ აღნიშნავდა: „ჩვენ გვითხრეს, რომ ფოთი-თბილისის რკინის გზის მოსამსახურე პირები დიდ შემწეობას აძლევენ გადაწვარ ხაშურის მცხოვრებლებსო. იმათ ერთმანეთში ხელის-მოწერა გაუმართავთ და კარგა ძალი ფული მოუგროვებიათ“.

როგორც ჩანს, ასეთი და სხვა ხასიათის დახმარებების შედეგად მდგომარეობა ხაშურში მალე გამოსწორდა და ცხოვრება ჩვეულებრივი რიტმით წავიდა. ამ პერიოდის ხაშურის ისტორიის მთავარი მოვლენა მაინც რკინიგზის მთავარი სახელოსნოების გახსნა იყო. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი ხაშურის დაწინაურებასა და ზრდას, შემდგომში კი მის გადაქცევას ქალაქად.

რკინიგზის სახელოსნოების თავდაპირველად ხაშურში გახსნა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ სურამის (ლიხის) ქედის მონაკვეთი სირთულით გამოირჩეოდა, რაც ბევრი პრობლემის წინაშე აყენებდა რკინიგზის ხელმძღვანელობას. ხშირად მწყობრიდან გამოდიოდა ორთქმავლები, ვაგონები, რომლებიც გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებდნენ. ამიტომ აუცილებლობა იყო სწორედ აქ ასეთი რთული უბნის სიახლოვეს გახსნილიყო სახელოსნოები.

ხაშურის მთავარ სახელოსნოებში წარმოებდა რკინისგზის მოძრავი შემადგენლობის ყველა სახის სარემონტო სამუშაოები. აქ დასაქმებული იყო სხვადასხვა პროფესიის მრავალი ხელოსანი, რომელთა ოსტატობაზე ბევრად იყო დამოკიდებული რკინიგზის უსაფრთხო მუშაობა მძიმე იყო რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების ცხოვრება. ამ გარემოებაზე არაერთხელ მიუთითებდა იმდროინდელი ქართული პრესა. გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე აღნიშნულის შესახებ წერდა: „ჩვენ მოგვივიდა ხაშურიდამ წიგნი, რომლის ავტორი იქაურ ცხოვრების სიმძვირეზე იწერება. აქაურს რკინიგზის სახელოსნოში თითქმის ოთხასამდის მუშა არისო. ზოგიერთ იმათგანს დღეში 2-2,50 და 3 მანეთი ჯამაგირი ეძლევათ, მაგრამ ამათი ცხოვრება და გაჭირვება რომ ნახოთ, შეგებრალებათო. მთელი ქისა მიციტანთან და მედუქნესთან გადადისო, რომელიც ყველაფერს საძაგელსა და ძვირად ჰყიდის იმათზეო. განსაკუთრებით შესაბრაღისნი არიან მცირეწლოვანი ახალგაზრდა მუშები, რომელთაც ადამიანის პირისახეზედ არა აქვთო და სხვა...“

კორესპონდენციის ავტორი, როგორც ვხედავთ, საინტერესო ცნობას გვაწვდის ახალგაზრდა მუშების შესახებ, რომლებიც თურმე სახელოსნოებში მრავლად ყოფილან დასაქმებული და რომელთაც ქანცვაწვეტილი მუშაობით ადამიანის სახეც აღარ შერჩენოდათ.

მუშები ყოველგვარ შევიწროვებას განიცდიდნენ სახელოსნოების ხელმძღვანელობის მხრიდან. მცირე ხელფასი, აბუნად ადგება, ცხოვრების მძიმე პირობები, - აი, რა იყო მათი ხვედრი. მაგრამ ისინი არ ურიგდებოდნენ ცხოვრების ამ მძიმე ხვედრს და ხშირად სხვადასხვა ფორმით გამოხატავდნენ უკმაყოფილებას, რაზეც მრავალი ფაქტობრივი მასალა მეტყველებს.

1880 წლის იანვარში, სახელოსნოების ადმინისტრაციამ მუშებს გამოუცხადა, რომ შეამცირებდა ხელფასს. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სახელოსნოს მუშებში. მათ რამდენიმე დღიანი გაფიცვა გამოაცხადეს და სამუშაოზე აღარავინ გადიოდა. როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, სახელოსნოების ადმინისტრაციამ სთხოვა მუშებს სამუშაოზე გასვლა და ხელფასების შენარჩუნებასაც შეპირდა. მაგრამ მუშები კვლავ განაგრძობდნენ გაფიცვას, მანამ ვიდრე სახელოსნოების მესვეურები იძულებულნი არ გახდნენ და „...ჟანდარმების პირით არ გამოუცხადეს, რომ ჯამაგირი ისევ წინანდელი ექნებათ ყველასო...“

გაფიცული მიხაილოველი მუშები სამუშაოზე გავიდნენ, ხოლო მათი გარკვეული ნაწილი საერთოდ აღარ მისულა სახელოსნოებში სამუშაოდ და მიხაილოვოდანაც წასულა.

70-80-იანი წლების მიჯნაზე სახელოსნოების უფროსი იყო ვასილიევი, რომელიც ძალზე ცუდად ეკიდებოდა მუშებს. „ამისათვის, - წერდა გაზეთი „დროება“, - ყველა ემდურება მას, და რომელიც კარგი ხელოსანი იყო გავიდნენ ქარხნიდან დიდი ხანია, რადგან ამის /ვ.ი. ვასილიევის- თ.დ./ მუდმივ და განუწყვეტელ ლანძღვას და გინებას ვერ გაუძლეს“.

# - ცხადდება საგრანტო კონკურსი - მცირე ფერმერების ტექნიკური უნარ-ჩვევებისა და შესაბამის აღჭურვილობაზე წვდომის გაუმჯობესებისთვის

საგრანტო კონკურსი ინიცირებულია პროექტ "მოწყველადი იძულებით გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ჩართულობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში", რომელსაც ახორციელებს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს სახელით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თანამშრომლობით და მიზნად ისახავს შიდა ქართლის და ქვემო ქართლის, გორის, კასპის, ქარელის, მარნეულის, ხაშურის, თეთრწყაროს, ბოლნისის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები პირთათვის. საოჯახო მეურნეობის/ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობას და განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემის და ცოდნის ამადლების გზით.

გრანტის მოსაპოვებლად, დაინტერესებული პირები მიიღებენ მონაწილეობას ბიზნეს იდეების კონკურსში, ხოლო სპეციალური(სავალდებულო) ტრენინგის გავლის შემდეგ კი წარუდგენენ საკუთარ ბიზნესგეგმებს შესარჩევ კომისიას.

პროექტში მონაწილეობის უფლება აქვს:

18 წელს მიღწეულ მოქალაქეს;

პირს, რომლის საცხოვრებელ ადგილს და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის ძირითად არეალს წარმოადგენს პროექტის მიზნობრივი მუნიციპალიტეტები;

პირს, რომელიც არ არის საჯარო მოხელე.

პროექტის ფარგლებში, უპირატესობა მიენიჭება ახალგაზრდებისა და



ქალების მიერ ინიცირებულ პროექტებს. ასევე, სოციალური სტატუსის მქონე პირებს, ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს.

ბიზნეს იდეის სააპლიკაციო ფორმა განთავსდება საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ვებ გვერდზე [WWW.gfa.org.ge](http://WWW.gfa.org.ge)

შეესებული განაცხადი მიიღება ელ.ფოსტის [grants@gfa.org.ge](mailto:grants@gfa.org.ge) მეშვეობით ან საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ოფისში ფიზიკურად განაცხადის ჩაბარების გზით. მისამართი: ქ.თბილისი, ატენის ქ. №16ა. განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ბეჭდური ფორმატით, ქართულ ან რუსულ ენებზე. პირველად განაცხადის წარდგენის ვადებია 19 ოქტომბერი-2 ნოემბერი.

დამატებით კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ: ტელ: 599 411 351

## დასასრულს უახლოვდება დაბა სურამში მშვიდობის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგზაო მონიშვნების დასახვა, რაც ქვეითათვის და საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის



მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას ითვის-წინებს.

პროექტის ფარგლებში, დაიგო ასფალტის ორი ფენა, მოეწყო ტროტუარები და სანიადვრე არხები.

მშვიდობის ქუჩა საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული და სხვა ქუჩებთან დამაკავშირებელ გზას წარმოადგენს, შესაბამისად, განხორციელებული პროექტით 500-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და სტუმარი ისარგებლებს და მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტი-სა და რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და ჯამში 1296 939 ლარს შეადგენს



## საშურში, ზამო სარზა დასასვენებელი სივრცის მონაშენი მიმდინარეობს

ამ ეტაპზე ხორციელდება სკამების, ურნების და მზის ენერჯიაზე მომუშავე განათებების მოწყობა.

სამუშაოების პირველი ეტაპი, რომელსაც მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“ ახორციელებს, აქტიურად მიმდინარეობს და სულ მალე დასრულდება, სამომავლოდ კიდევ უფრო მასშტაბური სამუშაოები იგეგმება.

ხაშურის მუნიციპალიტეტი თხოვნით მიმართავს მოსახლეობას, ნუ დავაზიანებთ ინფრასტრუქტურას და გავუფრთხილდეთ გარემოს!!!



- იოგა ხაშურში -

# რუსუდან გოგალაძე: ბადნიარი ვიქნები, თუ ერთი ქალისთვის მაინც ვიქნავი სტიმულად

ჩვენი გაზეთის რესპონდენტები, ხშირად არიან ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარმატებული ქალები, რომლებმაც სურვილი მიზნად აქციეს და მიზანი – საქმედ. რუსუდან გოგალაძე „იოგალენდის“ დამფუძნებელი და იოგას სერტიფიცირებული ინსტრუქტორია. მეორე თვეა, პროფესიონალურად შეეჭიდა იმ საქმეს, რომლის კეთებაც ძალიან უნდოდა. იყო ფიქრის, რისკების გათვლის, შიშის მომენტებიც, მით უმეტეს, რომ ამის ფუფუნება დიდ ქალაქებსაც არ აქვთ, დღეს „იოგალენდი“, ძალიან ბევრი ადამიანისთვის ის ადგილია, სადაც ფიზიკურ და გონებრივ ჰარმონიას ეუზიარებიან. მყუდრო, მშვიდი,



მუსიკით, ინდური სურნელით გაჟღერებულ გარემოში, ერთნაირად მოუხარიათ მოსვლა დიდებსაც და ბავშვებსაც. იოგას სიკეთეებზე, ჩანაფიქრის რეალიზაციაზე, თავად რუსუდანი ისაუბრებს:

– ძალიან ადრე გავთხოვდი, 18 წლის ვიყავი ოჯახი რომ შევქმენი, ორი შვილი გავაჩინე და მათი აღზრდით ვიყავი დაკავებული, მიუხედავად ამისა, სწავლა მაინც გავაგრძელე და ორთოპედ-სტომატოლოგი ვარ. რაღაც პერიოდი, ოჯახური ამბებით ვიყავი დაკავებული და ჩემი სპეციალობით ვერ განვითარდი, რაც ძალიან მაწუხებდა, რადგან ძალიან აქტიური ვიყავი. გარდა ამისა, სახლის პირობებში სულ ვვარჯიშობდი, ორსულობის შემდეგ, წონაში მოვიმატე და აქტიური ბრძოლა გამოვუცხადე ჭარბწონას. ამის გამო, სპორტის ხვადასხვა სახეობით დავეკავდი, დავდიოდი ცურვაზე, გადავაადგილდებოდი ველოსიპედით. პარალელურად, ჩემი საქმეც მქონდა, რამდენიმე სტომატოლოგიურ კლინიკას პორტატული აპარატით ვემსახურები, მაგრამ სულ ვფიქრობდი, რომ ეს ძალიან ცოტა იყო, იმასთან შედარებით, რაც მინდოდა და რისი კეთებაც რეალურად შემეძლო.

- რატომ გააკეთე არჩევანი იოგაზე?

– სულ ძიების პროცესში ვიყავი. იოგა ყოველთვის იყო ჩემი ოცნება, ძალიან მინდოდა, ხაშურში მომეცემოდა იმის შესაძლებლობა, რომ იოგაზე მეველო. პანდემიის პერიოდში, შემთხვევით ვნახე ინფორმაცია, რომ საართველოს იოგას ეროვნული ფედერაცია აცხადებდა ინსტრუქტორთა მომზადების კურსს, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტი, გიორგი ბერძენიშვილი ჩაატარებდა. ძალიან დავინტერესდი, თავდაპირველად, არც მიფიქრია კომერციულ დაინტერესებაზე, ძალიან მინდოდა, რომ ცხოვრების წესად მექცია. ზაფხულის პერიოდი იყო, დრო მქონდა, ოჯახშიც თანადგომა გამოიჩინა და მათი ხელშეწყობით, სამი თვის განმავლობაში, ყოველდღიურ ვარჯიშს შევუდექი.



- როგორი იყო ეს სამი თვე, რა ტიპის სწავლება გაიარე?

– ნამდვილად, ეს ის იყო, რაზეც აქამდე ვოცნებობდი. აღმოჩნდა, რომ

არ იყო მარტივი სწავლის პროცესი. აქ იყო, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლება, რომელიც ძალიან დიდ შრომას და ადამიანურ ძალისხმევას მოითხოვდა. თითოეული ასანა ანატომიურად შევისწავლეთ, ასევე იოგის ისტორია, 12 დისციპლინისგან შედგებოდა კურსი. იოგა ეთიკა, იოგა, ანატომია, მედიტაცია, სუნთქვითი ვარჯიში, იოგა არის ფილოსოფია, ერთობლიობა, რომელიც გვაძლევს სულიერ და ფიზიკურ ჰარმონიას. დღის განმავლობაში, ხუთი საათი გვიწევდა ვარჯიში, უამრავი თეორიული მასალა იყო, რომელიც დამატებით ცოდნას გვაძლევდა.

– „იოგალენდის“ შექმნის გადაწყვეტილებამდე როგორ მიხვედი?

– კურსის დასრულების შემდეგ, დავიწყე იმაზე ფიქრი, რომ ჩემი გამოცდილება, ხომ არ გამეზიარებინა სხვებისათვისაც. თან, შინაგან მოთხოვნილებადაც მექცა ყოველდღიური ვარჯიში, რაც არც ისე მარტივია, როცა სახლში ხარ. ალტერნატიული ფართი მქონდა და გადავწყვიტე, მეცადა. თუმცა, რისკები ძალიან მაშინებდა, როგორ მიიღებდნენ ამას ხაშურში, რამდენად იქნებოდა მოთხოვნილება. გადავწყვიტე, ერთი ჯგუფი მაინც მყოლოდა, ამაზეც ვიყავი თანახმა. იოგას ცენტრები დიდ ქალაქებშიც კი არაა და ეს ხაშურისთვის ცოტა თამამ გადაწყვეტილებად მეჩვენებოდა. გახსნის დღიდან ერთი ჯგუფი მყავდა, ზუსტად ერთ კვირაში ექვსი ჯგუფი გახდა და დღეს რვა ჯგუფი მყავს. ბავშვების ჯგუფები მთლიანად შევსებულა, ბევრი მსურველია და ძალიან მიტკირს უარის თქმა. ეს წარმოუდგენელია ჩემთვის, ნამდვილად არ ველოდი ამხელა დაინტერესებას.

- რა ასაკობრივი ჯგუფები გყავთ? ვისთვისაა უფრო მეტად იოგა რეკომენდებული?

– ასაკობრივი ჯგუფია, ბავშვების 8-დან 12-მდე, ძირითადად ელასტიურობისთვის, კონცენტრაციისთვის, გონებრივი განვითარებისთვის, ნერვული სისტემის ჩამოყალიბებისთვის, ძალიან მოწონთ და უჭირთ ცენტრის დატოვება. ჩემთან არიან სტუდენტები, აბიტურიენტები, სკოლის მოსწავლეები, სხვა ასაკობრივი და წონითი კატეგორიის ადამიანები, ჩვენი ცენტრის კარი ღიაა ყველა მსურველისთვის, ვინც ცხოვრების ჯანსაღ წესს ირჩევს. ძალიან დიდ ჰარმონიაში მოდიან, როცა ბოლომდე არიან ჩართულნი. სხვადასხვა ინტერესით მოდიან, ზოგს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება სურს, ხერხემლის ტკივილების უქრობის, ნერვული სისტემის მოსაწესრიგებლად, ვარჯიშების შემდეგ მირეკავენ და მეუბნებიან, რომ მათი ცხოვრების ხარისხი დღითიდღე უმჯობესდება, რომ კარგად ეძინათ, კონცენტრირებულები არიან, ხერხემლის ტკივილი მოუხსნათ-რაც ძალიან მახარებს და უფრო მეტ სტიმულს მაძლევს, ბოლომდე დავიხარჯო და კიდევ უფრო განვითარდე.

- რას ეტყობით იმ ქალებს, რომლებსაც სიახლეების ეშინიათ და ვერ ავითარებენ საკუთარ იდეებს?

– აუცილებლად უნდა იბრძოლონ თავიანთი ოცნებების ასასრულებლად. ერთი წლის წინ, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემი სურვილები რეალობად იქცეოდა და ამხელა სიამოვნებას მომანიჭებდა. ქალებს გვაქვს იმის რესურსი, დავიწყეთ და ვაკეთოთ ჩვენი საქმე, თან ძალიან და წარმატებულად. ძალიან ბედნიერი ვიქნები, თუ ერთი ქალისთვის მაინც ვიქცევი სტიმულად.



თ. ჯავახიშვილი

## საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საუკრძოლო!

„საქართველოს სარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 26 ოქტომბრის ჩათვლით, წინასარჩევნო აგიტაციისა და წინასარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია გაზეთის მე-4 გვერდი (988სმ<sup>2</sup>), უფასო რეკლამისათვის კი

გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494სმ<sup>2</sup>). ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი – 148 ლარი). A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში – 98 ლარი და 80 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში – 49 ლარი და 40 თეთრი.

რედაქცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე.

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail [Khashurismoambe2015@gmail.com](mailto:Khashurismoambe2015@gmail.com) მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

♣-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.